



გაზეთის ფასი:

გაზეთით, გაუგზავნელად

ერთი წლისა	6 მან. კაპ.	5 მან. კაპ.
წახვერის წლისა	2 „	2 „
სამი თვისა	1 „ 75	1 „ 50
ერთი თვისა	„ 60	„ 50
ცალკე ნომრის	„ 12	„ 10

განცხადებაები, «დროებაში» დასაბუჯდომი, მიიღება სხვა და სხვა ენაზე. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი საბუჯდომით, სტრუქტურაზე 4 კაპ. და სასამართლოებში — მხოლოდ 1/4 კაპ.

# დროება

საბოლოო და სალიტერატურო გაზეთი

ქვედადამკვეთი

ხელის-მწერა

მიიღება თფილისში: (დროების) რედაქციის კანტორაში (გ. წერეთლის და ამხ. სტამბაში, ბებუთოვის სახლში).

ქუთაისში: გერასიმე კალანდარიძის (სახელდებოდა სასწავლებელში). გარეშე მისთვის შეიძლება აღვსით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნა: *Въ Тифлисѣ. Въ конторѣ редакціи газетъ «ВРЕМЯ», при типографіи Г. Церетелі.*

გამოდის კვირაში ერთხელ, ზარანკებით

**შინაარსი:**

რედაქციის განცხადება. — საქართველო: რუსული გაზეთის აზრი წინააღმდეგ დასაბუჯდომი ენებზე. — წერილი ამბოხის. — «დროების» კორექტორის განცხადება: სოფ. ბან-შიდაში. — რუსეთი: წერილი ამბოხის. — უცხოეთი: უკრაინაში (დროებაში) კორექტორის განცხადება. — ინფანტის, — ამერიკის, — განცხადება.

ფელტონი: ფიქრები ჩვენ ძველ მწერლებზე — დ. დუღალაძისა.

«დროების» რედაქცია უმორჩილესად სთხოვს იმ ხელის-მომწერებს, რომელთაც წლებადეი გაზეთის ფული ჯერაც არ შემოუტანიათ, რაც შეიძლება მალე შემოიტანონ.

**საქართველო**

რუსული გაზეთის აზრი  
წინააღმდეგ დასაბუჯდომი ენებზე.

რუსული გაზეთის «მისი» (Голосъ) მე-170 ნომერში დაბეჭდილია მოწინავე სტატია, რომელიც პირ-და-პირ ჩვენ, კავკასიის მცხოვრებლებსა, შეგვცხება. თუმცა ეს სტატია ისეთი ბანაკიდან არის, რომლის გასწორება და დაჩუმება თვით საუკეთესო რუსის მწერლებსა და მეცნიერებსაც ვერ მოუხერხებიათ, თუმცა ავტორს ელემენტალური ცოდნაც არა აქვს იმ საგნისა, რომელზედაც ის სწერს, მაგრამ ჩვენ საქართველომ ეს თვით სიბრძნე მანაც ესტეკათ ამ სტატიაზე, რადგან ის ისეთ საგანს შეეხება, რომელიც ყოველი კაცისა და ერისათვის ძვირფასსა და უებარ საუნჯეს შედგენს.

პირველათ ამ სტატიაში მოყვანილია ის გადაწყვეტილება, შარშანდელი კავკასიის დირექტორების კრების, ადგილობრივი ენების შესახებ, რომელიც, თუ ახსოვს მკითხველს, იმაში მდგომარეობს, რომ, რადგანაც ადგილობრივი ენების (ქართული, სომხური და სხ.) რიგის მასწავლებლები არ მოიპოვიან კავკასიაში, ამის გამო ამ ენების სწავლა კავკასიის სასწავლებლებში უნდა შემცირდეს და თითონ მოსწავლეებს, სხვა ხარჯიდან რაც ფული გადარჩება, ის უნდა მიეცესთ ჯამაგირათაო. მაგრამ ვაზეთს «ხმას» ეს ამბავი სრულიად სხვა წიხრად მოჰყავს: ის ამბობს, ვითომც, ზემოხსენებული მასწავლებლების სიძვირისა გამო, კავკასიის დირექტორების კრებას გადაწყვეტოს, რომ ადგილობრივი

ენები კავკასიის სასწავლებლებში სრულიად უნდა მოიხსნას.

აი, ამ გარემოებაზე დამყარებული «მისი» მოწინავე სტატია. ავტორი ამბობს, რომ მართა ამ მიზნით ადგილობრივი ენების მოსაზრება გასაკვირველი საქმე არისო: დღეს არ მოიძებნებიან ადგილობრივი ენების რიგის მასწავლებლები, ხელს გამოჩნდებიანო. მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობსო, განაგრძობს უფ. ავტორი, რომ ადგილობრივი ენების სწავლება კავკასიის სასწავლებლებში საჭირო არ არისო. ეს აზრია თითქმის მთელს სტატიაში გაყვანილი და ამ აზრის დასამტკიცებლად არის ის დაწერილი.

ამავე აზრის დასამტკიცებლად, ავტორს მოჰყავს მოწინავე უცხოელი ავტორის (?) ბროშურა, რომელიც ამას წინათ გამოვიდა ქალაქში და რომელიც წერილი და დიდი ხალხების ერთმანეთზე დამოკიდებულებას შეეხება.

სწორედ სასაქონლო ზოგიერთი საბუთების გაზეთის «მისი» ჰუმბლიცისტისა. მაგალითად, ერთს ალაგას ის ამბობს, რომ ადგილობრივი ენების მხარე მხოლოდ სომხურ გაზეთს «მშაკს» და «ახალგაზრდა სომხების პარტიას (?)» უჭირავსო, მხოლოდ ისინი ცულობენ, რომ კავკასიის სასწავლებლებში ადგილობრივი ენები არ მოიხსნასო. მეორე ალაგას ამტკიცებს, რომ ქართულს, იმერელს დამეგრელს ერთმანეთის ლაპარაკი სრულიად არ ესმისო და ამისგან, თუ ყველა კავკასიის წერილი ხალხების მოთხოვნის დაკმაყოფილება მოვიწოდებთ, მაშინ იქაურს სასწავლებლებში ვინ მოსთვლის, რამდენი ენების სწავლება დაგეგმილია. შემ-

მომავალს 1873 წელს

**დროება**

გამოვა თავის ძველებური პროგრამისა და მიმართულების შეუცვლელად, და იმავე თანამშრომელების დახმარებით, რომელნიც წარსულ წლებში იღებდნენ გაზეთში მონაწილეობასა.

**ხელის-მწერა**

მიიღება — თფილისში — «დროების» რედაქციის განცხადებით, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში, სადაც დუღალაძის (გ. წერეთლის და კაპ.) სტამბა იმყოფება. ქუთაისში — გერასიმე კალანდარიძის (სახელდებოდა სასწავლებელში) და სიმონ მესხთან. სიღნაღს — რაჭაძენ ციციშვილთან, თელავს — თ. ჯეჯე. ჯანდაღთან, ყვარელს და ლაგოდეხს — დ. შარქანოვთან, ახალ-სენაკს — ნ. ა. დგობუაძესთან, ონის — გ. კვადიაშვილთან, ფოთს — ზ. არაგვისთან, ყვირილას — დ. დამბაშიძესთან, ხონს — გ. ჩიქოვანთან და ოსურგეთს — მელიტონ დოდოპრიანთან. ქალაქს გარეშე მცხოვრებთა აგრეთვე შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисѣ. Въ редакціи газетъ «ВРЕМЯ».*

**ხელ-მწერის ფასი**

	გაზეთით.		გაუგზავნ.	
	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
ერთი წლისა	6	»	5	»
წახვერის წლისა	3	»	2	50
სამის თვისა	1	75	1	50
ერთი თვისა	»	60	»	50

ახალ ხელის-მომწერებს უმორჩილესად ეთხოვთ, თავიანთი ადრესი გარკვევით დაწერილი გამოგვიგზავნონ და აგრეთვე შეგვატყობინონ ყოველთვის, როდესაც საცხოვრებელ ადგილს გამოიცვლიან.

ეთხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მომწერის ხედრი ფული გაზეთის დაბარებისთანვე გამოგზავნონ.

რედაქტორი და გამომცემელი ხერკეი მესხი.

**ფელტონი**

**ფიქრები**

**ჩვენ ძველ მწერლებზე**

შესანიშნავი დროა ეს ჩვენი დრო — მისი არაფერ-ღარაფერ აზრებით, მისი ცრუ მეცნიერებითა და გაბრუებული თავებით!

ვისაც ორი-სამი წიგნი წაუკითხვს, ვისაც სადმე ყური მოუკრავს რაიმე აზრისათვის, ყველას თავის თავი დიდ მეცნიერების ქურად მიიჩნია და სჯის ფილოსოფოსის სახით ისეთს საგანზე, რომლის აზრი და მნიშვნელობა სრულიად არ ესმის. აუღიანთ თავი და წაღმა-უკულმა ილიტებთან; ღმერთს მიუტია მათთვის მოძრავი ტუჩები და უძრავი ტვინი. ასეთი პირების ღრეკვა მით უფრო საზიზღარია, რომ ისენი მიიბუნებენ: გაუგონაით ჩვენ ბრძენ-მიიბუნებს, რომ ვოლტერი, ბჰორნი, ჰენინგი, დობროლიუბოვი და სხვა გამო-

ჩენილი მწერლები ეცინოდნენ და მიწასთან ასწორებდნენ ყოველ გვარს ძველს და დამყვევულ ჩვეულებებსა, და ისინიც წაბადებით და უაზროთ ისეთს საგნებზე იცინიან, რომელნიც მათს ტვინს ვერ შეუტოვებია.

საითაც არ მიიხედავ, ვისაც არ ეტყვი ჩვენი ძველი ლიტერატურისა და ცხოვრების შესწავლაზე, ყველანი რალაც ახირებულის ღიმილით შემოგხედავენ; — იმ ღიმილით, რომელშიაც არა იხატება რა, გარდა უგუნურობისა და უაზრობისა.

ჩვენ აქ არ შეუდგებით იმის გარჩევას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ძველი ლიტერატურისა და ცხოვრების შესწავლას ქართული ენისა და ლიტერატურის შესამუშავებლად; ეს მხარე, ვისაც სრული ქუეა აქვს, იმათთვის, მგონია, საჭირო არ იყოს. აქ მე მხოლოდ მსურს უჩვენო მკითხველს ამ საგნის მეორე, უფრო შესანიშნავი და საჭირო, მხარე ჩვენი ცხოვრებისათვის.

საზოგადოთ ჩვენი ისტორიული ცხოვრება შეადგენს ორს დიდს პერიოდს.

ერთს პერიოდში ჩვენ ვხედავთ ხალხს, რომელიც თავისუფლების ქვეშ ჰყვავის და დულს მისი სიცოცხლე; მეორეში კი ის გამწარებული ებრძვის მტერს თავისუფლების დასაცველად ანუ დამონაგებულის ამ მტრისაგან.

ამ უკანასკნელ მდგომარეობას უფრო უწყალოთ დაულახვრავს ჩვენი ხალხის ზნობითი, ეკონომიური და სხვა ყოველგვარი ძალა. ეს ცხადიც არის:

დიდი ხნის განმავლობაში, ჩვენს ხალხს არ გამოუტლია ის ნაციონალური თავისუფლების აღტაცება და სახელი, რომელიც ასე ამხნევებს, როგორც ცალკე პირს, აგრეთვე მთელს ხალხს; ის მუდამ იყო შეცულებილ აზრითა, რომ ის არის ქვემეგრდომი ხან ერთისა და ხან მეორის უფრო ძრვილის ერისა. ყოველი ადგილი, ყოველი ხე და ყოველი

არსება მას ეუბნებოდა და მოაგონებდა, რომ შენ შენს სახლში არა ხარ ბატონი, მასში ვერ ნახავ შენ მხიარულ ღიმილს და ტკბილს მოსვენებასაო; ერთის სიტყვით, მისთვის ამ უბედურს დროში განქრა ზნობითი და ქონებითი კმაყოფილება, რომელსაც კაცი ყოველგვან და ყოველთვის შეჩერებია რალაც ღვთაებრივი სასოებით. ამის გამო ჩვენ შემოგვაკლდა ყოველგვარი ხალისი: სიმხნე შეგვეცვალა შიშზე, ენერგია სულით დაეარდა; ერთის სიტყვით, ამ უბედურმა ბედმა ჩვენგან ჩვენ რალაც მომაკვდავს აპატიაში.

რაც უფრო დრო მიდიოდა ამ საშინელ მდგომარეობაში, ისე უფრო და უფრო ასუსტებდა ხალხს ზნობით ეს აპატია და ყოველის მოდგმით ქრებოდნენ მის ტვინში სანატრელ თავისუფალს დროზე მოთხოვანი. ამისა გამო, როგორც მთელს ხალხს, აგრეთვე კერძო პირებსაც ეკარგებოდა თანდათან სიყვარული საშობლოისადმი, რომ





დევ, თავის აზრის დასამტკიცებლად ავტორს მოჰყავს ის გარემოება, რომ ახალგაზდა სომხები დიდის სიამოვნებით სწავლობენ რუსულს ენას.

ყველა ამ საბუთებით აღჭურვილი და დაიარაღებული «ხმის» მწერალი ამბობს, რომ კავკასიის წერილი ხალხებისთვის აუცილებელი საჭირო არის, რომ იმათ დაანებონ თავი მათს მშობლიურს ენებს და, თუ წარმატება და ყოველის მხრით რუსეთთან გათანასწორობა ჰსურთ, რუსული ენა და ცივილიზაცია უნდა შეითვისონ.

ეს განლაქვით აზრი და საბუთები «ხმის» სტატიისა.

ზოგიერთ ამ აზრებზე და საბუთებზე ლაპარაკი, ისეთი ხეპრული და «უაზრონი» არიან ისინი, სრულიად არა ღირს და ზოგიერთებზე ჩვენს მდგომარეობაში, არც მოხერხდება. მაგალითად, რა უნდა ვსთქვათ ჩვენ იმაზე, ვითომც ქართულს იმერული ენა არ ესმოდა? ან როგორ უნდა დაუმტკიცოთ ყველასთვის ცხადი საქმე, რომ კავკასიის ხალხებს არც სურს და არც შეუძლიათ თავის მშობლიური ენის დაიწყოება და მიტოვება?

მაგრამ სტატიაში მოყვანილია ერთი გარემოება, რომელზედაც ჩვენ ვაღივებულნი ვართ პასუხი გავსცეთ.

ავტორი ამბობს, რომ ადგილობრივი ენებს მხოლოდ გაზეთის «მშაკის» ახალგაზდა პარტია და საზოგადოთ ახალგაზდები იცავენ; ესენი წინააღმდეგენ პირველად კავკასიის სასწავლებლებში ადგილობრივი ენების მოსპობას, თორემ ხალხი არას დასდევს. ეს ახალგაზდები თავიანთ ხალხოსნობის აღდგინებაზე ოცნებენ.

არცერთი პატიოსანი გაზეთი და ყურნალი ამგვარი აზრების გამოთქმას არასოდეს არ იკადრებს, თუნდაც წამდელი დამტკიცებები ჰქონდეს ამისა...

რომელი პატიოსანი მწერალი იკადრებს, რომ წმინდა პედაგოგიური ბაასი პოლიტიკაში გადაიტანოს? მე რომ გამოვსთქვა, მაგალითად, ის აზრი, რომ ყმაწვილს პირველდაწყებითი სწავლა ყოველთვის მშობლიურს ენაზე უნდა გადასცეს მასწავლებელმა, მეთქი, ნუ თუ ამ აზრის გამოთქმისთვის, მე საქართველოს დამოუკიდებლობისა და აღდგინების სურვილი და განზრახვა უნდა შემწამონ? სწორედ ამნაირათ იყო ეს საქმეც; სომხურმა გაზეთმა «მშაკმა» და ქართულმა — დროებამ, რამდენჯერმე გამოთქვეს თავის აზრი ადგილობრივი ენების შესახებ; ისინი ამტკიცებდნენ, რომ ყმაწვილს უცხო ენაზე სწავლა

ათასწილათ უფრო უჭირს, ვიდრემ მშობლიურზე; ისინი ამტკიცებდნენ, რომ ადგილობრივი ენების (განსაკუთრებით ქართულის, სომხურის და ზოგან თათრულის) მოსპობა სასწავლებლებში შეუძლებელი სიქმეა, რადგან უფროსთ ხალხს, რომელსაც რუსული სრულიად არ ესმის, ვერაფერს გვაგებინებთო და სხვა. ნუ თუ ამ წმინდა პედაგოგიური და საზოგადო აზრების გამოთქმისათვის რაღაც პოლიტიკური განზრახვა უნდა დაგვბრუნდეს ჩვენ? განამარტო ჩვენ გამოვსთქვიეთ ეს აზრი? თქვენსგან გეგმა, რუსულს ლიტერატურაში მიიხედ-მოიხედეთ, უფალო «ხმის» პუბლიცისტი, და დინახეთ, რომ საუკეთესო რუსის მწერლები და პედაგოგები ამგვარი აზრისანი არიან. მაგრამ თქვენ, როგორც გეტყობათ, დაბრმავებული ხართ სულ სხვა აზრით და განზრახვითა და იმიტომ ისეთს რასმეებს სწერთ, რომელზედაც არც წამდელი მეცნიერება გეფანხმებთ, არც პედაგოგია და არც ადამიანის ბუნება.....

ჩვენ არ ვამტკიცებთ, ამბობს ერთს ალაგას ავტორი, რომ ამ შემთხვევაში ხელოვნური და ძალადობითი სახსრები აუცილებელია საჭირო იყოს (ე. ი. ძალათ მოსპობა ადგილობრივი ენებისა და სხვა, უცხო ენის შემოღება). ამგვარი სახსრებით, ჩვენ ვერ შევასრულებთ ჩვენს წადილს. შეერთება ისტორიული კანონით უნდა მოხდეს, იმ კანონით, რომელიც ამბობს, რომ ერთს სახელმწიფო ორგანიზმში ორი ხალხის არსებობა შეუძლებელი საქმეა. უფლების მქონე და მძლავრი ხალხის მეცადინეობა მხოლოდ იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ თავის ენა გაავრცელოს იმ წვირლ ხალხებში, რომელნიც იმის ხელქვეით არიან. კავკასიის ადგილობრივი ენები უნდა იყვნენ მხოლოდ იარაღთ ანუ სახსრათ, რომლის შემწეობითაც იქაურმა წვირლმა ხალხებმა უნდა შეითვისონ უმაღლესი ცივილიზაცია და მიიღონ სრული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლება.»

ჩვენ რაღას ვამბობთ, უფალო «ხმის» მწერალი? განა ჩვენც იმას არ ვამტკიცებთ, რომ ჩვენი მშობლიური ენა, როგორც საზოგადოთ ყოველი ერთს ენა, სახსარია მეთქი, და არა მიზანი, განათლების მიღებისათვის? განა ამისთვის არ ვამბობთ ჩვენც, რომ მშობლიურს ენაზე უფრო ადვილია სწავლის მიღება?

ყოველი მმართველობა, რომელიც თავის ხალხის ბედნიერებისა და განათლებისათვის ზრუნავს, უნდა ცდილობდეს, რომ ხალხს განათლების გზა და საშუალება გაუადვილოს და მისცეს.....

აი, ჩვენი აზრი ამ საყურადღებო საგანზე. იმედი გვაქვს, რომ არცერთი გონება-დაუზნებელი კაცი ამგვარი აზრების გამოთქმისათვის არ შეგვეწყაობს ჩვენ, გაზეთს «ხმასთან», პოლიტიკურ ტენდენციებსა და არ გამოიყვანს ამ აზრებიდან რომლისმაც «პარტიის» განზრახვასა და ოცნებებს....

ს. მ.

ჩვენ გაუგონეთ, რომ ერთს ამას წინათ აქ მყოფს მაღალ წოდების კაცს შეუტყვიამბავი. რომ ქართულ ენას ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში ცუდი ბედი მოეცისო, და ამ საქმეში მონაწილეობა მიუღია. ქალაქში ლაპარაკობენ, რომ ამ გარემოების შემდეგ, აქაურმა უმაღლესმა მთავრობამაც მიაქცია ამ აზრებს ყურადღება ასე, რომ ზოგიერთები დარწმუნებით ამბობენ, რომ ქართული ენა ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში აღარ მოისპობა... ღმერთმა იხილოს, რომ ყველა ეს ხმები გამარღვებულიყოს...

თფილისის გუბერნიის ბანკის თაობაზე ერთი ახალი ამბავი გავიგონეთ: ამბობენ, ვითომც თვითონ კომიტეტს აეღოს ხელი თავის პროექტიდან, რადგან იმედი დაკარგვია, რომ აზნაურობის კრებამ ის დაამტკიცოს. ამასთანავე ამბობენ, რომ ერთს პირს წინადადება მიუცია კომიტეტისთვის, რომ მე დავეწერ პროექტსო, რომელიც ჯერ თქვენ განიხილეთო და, თუ მოგეწონებათ, მერე ამ პროექტს 25 ნომბერს საზოგადო კრებას წარუდგინო. ამბანკის პროექტის დაწერისათვის ეს პირი, როგორც გავიგეთ, 500 მანეთს თხოულობს...

გაზეთის «კავკასის» მე-128 ნომერში დაბეჭდილია მოლაპარაკება, რომელიც ყოფილა ჩვენი ქალაქის გამგების საზოგადო კრების სხდომაზე. როგორც გვახსობს, ეს პირველად თუ მეორედ არის, რომ ჩვენი ქალაქის სხდომების ანგარიში იბეჭდება; საზოგადოთ შესანიშნავია, რომ ჩვენი ქალაქის გამგეობა ასე იშვიათად აცხადებს თავის სხვა-და-სხვა განკარგულებების ანგარიშსა და საიდუმლოთ მოქმედებს.

იმ სხდომაში, რომელზედაც ჩვენ დაიწყეთ ლაპარაკი, ყოფილა ბაასი იმაზე, საჭიროა თუ არა, რომ ნეთლულიდამ აელაბრამდი მოსსეს გზა გაეიყვანოთო, და თუ საჭიროა, რა საშუალებითაო. პირველს კითხვაზე თითქმის ყველას გადაწყვეტილათ უთქვამს, რომ საჭირო არისო; თვითონ ნეთლულის მცხოვრებლები მუდამ სჩივიანო, რომ გზა არა

მელსაც მისი გავიყვანა და გაბედნიერება აღარ შეეძლო. ესნა მისი ცდა იყო მიმართული მხოლოდ იმაზე, რომ დაეცვა, როგორც მოახერხებდა, თავის თავი ამ უბედურს სამშობლოში, სადაც ყოველ წამს მის სიცოცხლესა და ქონებას ემუქრებოდა შეუბრალებელი დეპოტიზმი ოსმალეთის და სპარსეთის მეფობისა.

მაშასადამე, აქ არაფერი არ არის გასაკვირველი, თუ ჩვენს ხალხს მამულის სიყვარული შეეცვალა უსულო ეგოიზმზე, ანუ თავის სიყვარულზე. ეს იყო იმის მიზეზი, რომ საქართველოს ისტორიად განქრენ ის მამულითა თავის თავგადადებულნი და მისის სიყვარულით აღტაცებულნი გამირნი, რომელნიც აკურთხებდნენ თავიანთი უმანკო და წმინდა გამირულის სისხლით სამშობლოს თავისუფლებას; ერთის სიტყვით, განქრა საბრალო საქართველოში «ერი გულადი, პურა

დი, მებრძოლი შავის ბედისა», როგორც პოეტი ამბობს.

აპატიისა და სასოწარკვეთილების მოქმედობას ჩვენ ძალიან ხშირათ ვხედავთ ხოლმე კერძო პირებზედაც, სხვა და სხვა უბედურებისა გამო. ასეთი პირებისათვის სიცოცხლე არის გამოუღვეველი ტანჯვა. ისინი არ მოელიან არას კეთილს მომავალში და აწყო კი სტანჯავს მათ. ისინი სცხოვრებენ მხოლოდ წასული ცხოვრების მოგონებით, საიდანაც კრევენ იმოდენს ძალას, რამოდენიც საჭიროა, რომ სიცოცხლეზე ხელი არ აიღონ.

რაც უფრო მდიდარი და სასიამოვნო მოსაგონია მთელი ერისთვის ან კერძო პირისათვის ეს წარსული ცხოვრება, ისე უფრო ჯანს და ენერგიას კრეფს მისი სული იმ წასული ცხოვრებისაგან და კიდევაც შესაძლოა საქმეა, რომ ასეთმა მოგონებამ მოგვაროს იმოდენი ძალა მის სულს, რომ

ხელ-ახლა გამოიყვანოს ის აპატიური მდგომარეობიდან ცხოვრების ველზედ, საბრძოლველად.

ასეთი მწიფელობა აქვს ხალხისათვის მისს წარსულ ცხოვრებას. ხალხის წასრული ცხოვრება არის მისი ზნობითი საუნჯე, სადაც შენახულია მისი სისხლი და ცრემლი, მისი შვება და ტანჯვა.

ეს არის ის ზნობითი განძი, რომელიც მამულის შეიღებს შეერთებს ღვთაებრივი კავშირით და შექმს მათ ერთ არსებად. რაც უფრო ცოცხლად ახსოვს ხალხს ეს კავშირები, ისე უფრო ძიობას და ერთობას გრძნობს მისი გული და ისე უფრო თანაუგრძნობს ყოველ თავის მოძმეს და მაშასადამე სამშობლოსაც.

ამას გარდა ხალხი ყოველთვის ამაყობს თავის ზნობითი საუნჯით, როგორც თავის

გვაქვსო და ხან-და-ხან ქალაქთან მისვლა-მოსვლა გაძნელებული გვაქვსო; ხარჯს კი ჩვენც სხვა მცხოვრებლებსავე ვიხდითო. მეორე კითხვაზე, ე. ი. რა საშუალებით უნდა გავაყვითოთ მოსსეო, ბევრი ლაპარაკი იყო კრებაში; ბოლოს კრება გაჩერდა იმ წინადადებაზე, რომელიც ამ საქმისათვის ამორჩეულმა კომიტეტმა წარუდგინა მას: კომიტეტის აზრით, რაც ამ გზის გაკეთებას ხარჯი მოუწდება, (სულ 22, 521 მან. და 732 კაპ.), ეს ხარჯი ოთხ-წაწილათ უნდა გაიყოს; ორი წაწილი კახეთმა უნდა შემოიტანოსო, რადგან ეს გზა კახეთის გზა არისო; ერთი წაწილის შემოტანა სამხედრო წოდებას ერგებოდა, რადგანაც ნეთლულში სამხედრო ლაზარეთი და ჯარებიო და მაშასადამე ეს გზა სამხედრო მთავრობისთვის აუცილებელით საჭირო არისო, და ერთ წაწილსაც თვითონ ნეთლულის მცხოვრებლები შემოიტანენ და თუ ისინი იერ შეიძლებენ, მაშინ ქალაქის ფულით შეეწყობო.

ეს ქალაქის კრების გადაწყვეტილება ჩვენ ძალიან გვაკვირვებს, განსაკუთრებით პირველი მუხლი, რომელიც ამბობს, რომ ნახევარი ხარჯისა კახეთმა უნდა შემოიტანოსო. ამ წაწილთ რომ განსაჯოს ქალაქის გამგეობამ, მაშინ, მგონი, არცერთი ქუჩის გაკეთება არ მოუწდება იმას: მიკიოს, რათ გავაკეთა ქალაქმა, ვსთქვათ, ვალაგინის პროსპექტი! ამ ქუჩით ხომ ქართლები დაიარებიან! მაშ იმათი ხარჯით უნდა გაკეთებინათ? ამავე ლოგიკით სოლოლაკის ქუჩები კოჯრელებს, წავესილებს, შინდისელებს უნდა გაეკეთებინათ, რადგან ისინი ამ გზაზე დაიარებიან. აგრეთვე სხვა ყველა ქუჩები, უტყველია, რომელიმე სოფლის გზა არის, — მაშ ისინი ამ სოფლების ხარჯით უნდა გაკეთდეს განა? ძალიან გვიკვირს!...

გორის სასულიერო სასწავლებლის მდგომარეობაზე ძალიან ცუდი ამბები მოგვდის; გვწერენ, რომ მასწავლებლები, ერთს გარდა, სრულებით არ ასრულებენ რიგიანათ თავიანთ ვალდებულებასაო და თვითონ ზედამხედველიც სულითა და გულით არ არის ამ საქმეზე მონაწილიო. ეს გარემოება არისო, ამბობს ერთი ჩვენი კორარესონდენტი, იმის მიზეზით, რომ გორის სასულიერო სასწავლებლიდამ გამოსულმა ყმაწვილებმა თითქმის სრულიად არ იციან რუსული და არც სხვა რამეო.

დამონში პირველი ნომბრიდამ ფოჩის სტანცია გაუხსნიათ ასე, რომ ეხლა ქუთაისი-დამონ ხონამდი და უკანვე უბრალო წიგნების გაგზავნა-გამოგზავნა შეიძლება.

მ. დუდილაძე. რაღაცნაირი სიტყვიდამ კარგათ დაინახოს სრული კუთის მკითხველმა, თუ რა მწიფელობას ვაძლევთ ჩვენ ჩვენი ძველი ცხოვრებისა და ლიტერატურის შესწავლას ახლანდელს ჩვენი ცხოვრების პირობებში. ხოლო იმ პირებს, რომელთაც ყოველი აზრი თავისებურად ესმის, იმათ ღმერთმა მშვიდობა მისცეს. ჩვენ მათთან არა გვექნება რა ცხოვრებაში შემაყვანილებელი. მ. დუდილაძე. რაღაცნაირი სიტყვიდამ კარგათ დაინახოს სრული კუთის მკითხველმა, თუ რა მწიფელობას ვაძლევთ ჩვენ ჩვენი ძველი ცხოვრებისა და ლიტერატურის შესწავლას ახლანდელს ჩვენი ცხოვრების პირობებში. ხოლო იმ პირებს, რომელთაც ყოველი აზრი თავისებურად ესმის, იმათ ღმერთმა მშვიდობა მისცეს. ჩვენ მათთან არა გვექნება რა ცხოვრებაში შემაყვანილებელი.





საქართველოს  
საბჭოთაო რევოლუციური  
დემოკრატიული რესპუბლიკის  
საგარეო ურთიერთობების  
საგარეო პრესის განყოფილება

«ბირჟის უწყებების» მე-299 ნომერი და-  
ბეჭდილია თფილისში და გავრცელებულია კორკის-  
პონდენცია. ერთი ადგილი მოგვეყავს ამ კორ-  
კისპონდენციის დაბეჭდვას.

კორკისპონდენტი იწყებს ლაპარაკს იმ  
ბროშურაზე, რომელიც ამასწინათ გამოვიდა  
თფილისში და რომელშიც ასეთნაირათ  
ააღაპარაკა ჩვენი საზოგადოება და ლიტერა-  
ტურა, რადგან იმთ არსებობაზე სჯობდა. კორ-  
კისპონდენტი ამბობს, რომ ჩვენს ოლქის სასა-  
მართლოში საქმე შესდგება ამ ბროშურის  
გამოსვლის თაობაზე, რადგან ამის გამო-  
ცემმა ბეჭდის კანონები დაარღვიო: ბრო-  
შურაზე არც სახელია გამოცხადებული ავტო-  
რისა, არც ადგილი, სადაც დაბეჭდილია, არც  
ცენსურის ნებართვა და არც დროა.

შემდეგ თვითონ ბროშურის შინაარსზე აი-  
რას ამბობს:

«ამ ბროშურის ორმოცდათერთმეტ ფურ-  
ცელში ორი წინა-სიტყვაობაა, ორი შესავა-  
ლი, ორი თავი და ორი ნაწილი. დაუღა-  
ლავე ავტორი ბროშურისა ყველა წერილ  
ხალხებს და იმათ ენებს უმოწყალოთ სიკე-  
დილს უქაღის. ეს არის უმთავრესი აზრი  
ბროშურისა. ამ მიმე საგნის შესაფერად,  
ავტორს დიდ სწავლულად მოაქვს თავი და  
აუტორიტეობა თავის წინა მცნებრი ავტორი-  
ტეტების სიტყვებითა და სხვა და სხვა ტენი-  
სებითა. ამ უბრალო (ничтожная) ბრო-  
შურამ ჩვენს კაცობაში ბევრი ააღაპარაკა  
და გამოიხმო ცხარე პასუხები ქართული და  
სომხური გავრცელებისა და ურჩალებისაგან.»

\*\*\*

ამბობენ, რომ ჩვენში ჩაის ხეები უნდა  
მოაშენონ. მკოდენ პირების სიტყვით, ეს  
ხე სომხში, გურიაში და ლენკორანში ძა-  
ლიან კარგათ მოაშენებო. ამ საქმის სი-  
სრულეში მოსაყვანათ, უნდათ თურმე, რომ  
რამდენიმე ოჯახი დაიბარონ ჩინეთიდან, რომ  
მელთაც მიანდობენ ამ ადგილებში ჩაის  
პლანტაციების მოშენებას-თუ ეს ხმა ოდესმე  
გამართლდა, მაშინ რაღა გვიშავს... ჩაი მინც  
გავგიფთვლებო...

### «დროების» კორიკსპონდენცია

სოფ. ბანძიძე, ნოემბრის 5-ს.

სოფელი ბანძა მდებარეობს სამეგრელოს ახ-  
ლას; მაგრამ საქონლზე არ არის ამ ქუჩაში  
სახელ-განთქმულ სოფლის მდებარეობაზე დაზა-  
რავი, რადგან მკითხველი ამის ქებას და სახელს  
დაზარავს სხიდად გაიგონება: იმერეთში ყველ  
დაწმინდულია რომ ბანძელები, როგორც კარები,  
ისე აგრეთვე ქალები ქურდები არიან, რომ  
თავში ბეჭებს მოგზავრებს და დამბნულ  
ჩიტს ფრთებს ამოაღვინათ. მარჯვე და მო-  
სერსებულ ქურდზე იტყვიან: «მაგას ქურ-  
დობაში ბანძელი ქურდიც ვერ შეეძარება»;  
ბანძელს მეგრულს ისე არ უნდა გაათვინო სახ-  
ლში ღებო, როგორც ტურას საბატონო და სხ.  
თუმცა ასლა-და-ასლა, რაც მამასხლისაბა მოიწ-  
ყეს, ცოც-ცოტათი შემდინდა ამ ქუჩაში, მაგ-  
რამ ძალიან ბევრს რომ ძალიან ზარბა მოაგლოთ,  
მაინც სავადად ბევრი დაჩნება. მოკლეა ერთს  
მაგალითს, რომელიც მცხადათ დაინახეთ, თუ  
როგორ ოსტატობით და მოსერსებით ქურდო-  
ბენ ჩვენს ბანძელები:

ამ მოკლე ხანში ერთმა აჭარმა მცხოვრებმა  
ამ სოფელში ერთი დუქანი გახარა; სამას მა-  
სხთამდე სერმა დასარვა და გარდაცხო. გახალა  
ეს დუქანი, მაგრამ მეორე თვეს მოვიდეს ქურდო-  
ბი და ისე გახადეს ყველაფერი, რომ ორი გრო-  
შის საღიარალი საქონელიც აღარ დაუტოვეს ზა-  
რანს. ქურდები ათამდე ყოფილიყვნენ ეს არა-  
ფერი; გასაგებელი ის არის, როგორ ეძებენ

რად მოუსდინათ იმათ ეს ქურდობა: ერთ მთა-  
რანს დაეკი ქურდებს ერთი მთავანი ქაღუ-  
რით მოურთავთ და ასლან ცხენზე შეუსვამთ;  
სამი კადვე ცხენსუდ შეისადრან და წახლან  
სიმღერით და თოფის სრალით; დასარჩენი ეგესი  
გაცი, ვითამ მხურბი, სიმღერით ვითამ დედა-  
ფაღს მოშორებით მიჯობდნენ. როდესაც მი-  
ვიდნენ ერთ ხაჯარულად სასლანს \*), ვარაუბი  
წინ დაუდნენ და ვინაობა ჰკითხეს. ერთმა ქურდ-  
თავანმა უთხრა: «მევენ ვინცა ვართ, რას დასდეთ,  
თქვენ ეს გვითხარით—დედაფაღს და მხურბს  
არ ხაჯულას ამ გზით?» ვარაუბის მართალი გკო-  
ნით და თავი დასაქეს. მხურბ-ქურდები მივიდნენ  
სემსისხენებულ დუქანზე, გატყეს ვარაუბი და შიგ  
მარტო შედგნენ შვირდი სასეს. ხანთელი რომ  
ახანეს, ბიჭი წამოსტა, მაგრამ მამისთვე შეკრეს,  
პირი ბამით აუშეს და ტავით გაპირილი მაგდეს  
თურმე კუთხეში. მეორე, როგორც ვითქვი, გამოა-  
ტანეს დუქანიდან ყველაფერი, რაც ვი მოიპონე-  
ბოდა, ბიჭს თოფი შეაჭრეს და გაუდგენ გზას,  
ისე იმ ნაირის უშავით; მამარულ ნივთს მხო-  
თვი დასარქვეს და სიმღერით და ხანარულით  
თავ-თავის სასლში მივიდნენ და გაიქვეს ხაჯურ-  
დადი.

ერთი ბანძელის ქურდობას იმერეთში არავად  
დაზარავს: ერთს ვიდაც ვაჭარს ქურდი შეეგება  
თურმე და მუდამ მარჯვად საქონელს. როგორ  
არ უფრთხილდებოდა, რამდენი ვარაუბი არ  
დაეყენა, მაგრამ მინც ვერ მოაშორა თავიდან ეს  
ქურდი. ბოლოს მოიფიქრა და დადიდა თუ არა,  
იას დაეკეტა დუქანი და რაც საქონელი ჰქონდა,  
დუქანს ტერზე შეაწყო. შედაქვე ქურდი მო-  
ვიდა და თითქო სურით გამოიღწია, სადაც ვეწო  
თოფიდან მუდამ, აბრეშუმის საქონელი და სხვა  
და სხვა ნივთი. რა ჰქონდა ვი აჭარს, რომ მი-  
დავს და სასურავადამ ჩაატყეს. იფიქრა, იფიქრა  
და ბოლოს მოიფიქრა: დაიჭირა ვაჭარს; უკან ფე-  
სებით გრძელ ვოსსე მანა და წინა ფეხები ვი  
თავისუფლად გაუშვა; აიყვანა აბრეშუმის ვოსსე  
მომხული ვაჭარს და სასურავს ქვეშ, ტერზე შეეწყო.  
ვაჭარს იმეშინებო წინა ფეხები მოსდვა მუდამ ხა-  
ჭარს და მაგრამ ჩაჭირა შიგ ბრჭყალები. ქურდმა  
გამოსწია ვოსი და გამოიყვანა ვაჭარს, რომელსაც  
მუდამ საჭერი ვაჭარს ბრჭყალებში და მოათრე-  
და... ამნაირათ იმან გამოხინდა ტერიდამ ყველა-  
ფერს და მეორე დღეს დუქანს ზატრანის ძლიერ  
გაგვირგვინულ დაჩნა—სად ვაჭარს ჩემი საქონე-  
ლია, ქურდის შემოსვლა არსად არ ეტყობა არც  
ტერს და არც სასურავსა?!

ეს ქურდი ბანძელი გასდდა. ბევრი ამისთანა  
ოსტატური ქურდობა მოუსდინათ მეგრელებს,  
რომელშიც მათი გამჭრანსე ტყუას და მოსერსება  
ხანს. ვინ იცის, რამდენ ხაყოფს მოიტანს ეს  
იმათი ტყუას და მოსერსება, როდესაც სხვა უფრო  
ხანსდებოდა მიმართულა მიეცემა იმას!...

თეოფილე ვანდელავა.

### რუსეთი

მმართველობის კამისიას შეუდგენია ახალი  
პროექტი პასპორტის თაობაზე. ამ პროექტის  
ძალით, როგორც ამბობენ, შემდეგში მხო-  
ლოდ გლეხებს და მოქალაქეებს მოეთხოვე-  
ბათ რუსეთში პასპორტი და ვინც ცხენდშიყო  
ხარჯს არ იხდის, ის კი პასპორტის აღებისაგან  
განთავისუფლებული იქნება. ერთი რუსული  
გაზეთი ამბობს ამის თაობაზე, რომ ამის  
შემდეგ, იმედია, პასპორტი სრულებით ყვე-  
ლასთვის მოისპობა.

\*\*\*

ქალების კურსებზე, რომელიც პეტერბურ-  
ლის მედიკო-ხირურჯის აკადემიასთან გაიხს-  
ნა.

\*) ამ სოფელში, დიდ გზის თაობაზე, ვარაუბი  
არის დაეყენებულნი, ქურდების დასა-  
ჭრად.

და რომლიდამაც ნასწავლი ბებები უნდა  
გამოვიდნენ, 86 ქალს დაუტერია კარგათ  
შესასვლელი ვეზამენი. სულ მსურველები  
ასზე მეტი ყოფილა. მკითხველმა იცის, რომ  
ამ კურსებზე ოცი წლის ნაკლების ქალებს  
არ იღებენ. ამ წლის თაობაზე ვაზ. «პეტერ-  
ბურლის უწყებები» ამბობს, რომ ეს წესი  
ძლიერ ურიგო და მინებელია; ახალგაზდა  
ქალები საშუალო სასწავლებლებში (სტიტუ-  
ტებში და ზავედენებში) საზოგადოთ 16-17  
წლისანი ათავედენ კურსსა და იმათ რომ  
მოინდომონ ამ კურსებზე ლექციების სმენა,  
ნება არა აქეთ და უკანასკნელი სამი წელი-  
წადი მინც უნდა დაკარგონ დროა. თუ 17  
წლის ვაჭებს უნივერსიტეტში შესვლის უფ-  
ლება აქეთ, იმ ხნისვე ქალებს რატომ ამ კურ-  
სებში შესვლის ნება არ უნდა ჰქონ-  
დესთა?.....

\*\*\*

სიმბირსკის უეზლის ერობას გადაუწყვეტია,  
მმართველობას ესთხოვითა, რომ ჩვენს უეზ-  
დში ვალდებულებითი სწავლა შემოვი-  
ლოთ.

\*\*\*

სექტემბრის პირველადი პეტერბურდში  
ითვლებოდა-36 წინის მალაზია, 36 პატარა  
წინის დუქნები და 21 წინების საკითხავი  
ბიბლიოთეკა. ამ დროსვე მოსკოვში ითვლე-  
ბოდა—21 წინის მალაზია, 66 წინის პატარა  
დუქნები და 17 ბიბლიოთეკა.

\*\*\*

კიევის ქალაქის აღრინდელ გაღაეას, უფ-  
დემიღოს, სახალხო განათლების სამინის-  
ტროსთვის გამოუცხადებია, რომ მე მსურს  
73,000 მანეთი შეეწირო, კიევი რეალური  
სასწავლებლის გასასწავლოთ.

\*\*\*

ს. პეტერბურლის უეზლის ერობას ერთს  
თავის სხდომაში გადაუწყვეტია. რომ, რად-  
განაც აქაური ფაბრიკებისა და ქარხნების მუ-  
შები კვირაობით, თითქმის მუდამ მთვრალია.  
ბის მეტს, არსიკეთებენო, ამის გამო კარგი იქ-  
ნება, რომ ზოგიერთს ქალაქის უბნებში მუშა-  
ხალხისათვის საკითხავი სახლები გაემართოთ  
და ამას გარდა სახალხო თეატრიო. ეს გადა-  
ჩივეს ხალხს მთვრლობასა და ცუდ ყოფა-  
ქცევასა. ამ საქმის სისრულეში მოსაყვანათ,  
ერობას მმართველობისთვის ნებართვა უთ-  
ხოენია და ცალკე ფულებიც დაუწინავეს.

### უცხო ქვეყნები

უკრაინა

წარღება ვანგუადამ

IV

დადგა შემოღობა და ვენეცია და სარეგულ-  
და; ვეღარ ჰხედავთ ქუჩებში თავადერის  
და ამაყად მოსიარულე ინგლისელებს. მართ-  
ლაც შესანიშნავია ინგლისელის სიარული:  
ის, ისეთი სითამამით და დამიდლონებულად  
დადის, თითქმის მრთელი ბრიტანის ფლო-  
ტი ზურგს უკან მოზღვესო. ინგლისელს ყმა-  
წილობიდანვე უნერგვენ გულში, რომ ბრი-  
ტანია დიდებული და უკადრისი ქვეყანაა,  
რომ მისი სამშობლო წარჩინებულია სხვა  
ქვეყნებზე განათლებით და ძლიერებით,  
რომ ამისთანა ქვეყნის შვილი უნდა ამაყობ-  
დეს თავისი სამშობლოთ... მართლა, ეს  
თვისებები მემკვიდრეობით თვისებებად შე-  
იქნა ინგლისელებისთვის. ინგლისში ისე არ  
ზღიან ყმაწილს, რომ საკუთარი პიროვნო-  
ბა გაუქრონ მას;

უთუოთ დამახინჯებული და ზნეობით


მოუძღვრებული უნდა იყვნენ იმ ქვეყნების  
მცხოვრებნი, სადაც ერთი ქვემარტი სი-  
ტყვის თქმისთვის საპრობილემში დაალო-  
ბენ კაცს, ან რამდენიმე ათას ვერსზედ გა-  
უძახებენ სამუდამო სატანჯველად. ცხადა,  
თავისუფლად გახსნილი კაცის გონება და  
ლტოლვა მიიღებს მხოლოდ იმას, რაც მის-  
თვის სასარგებლო და სასიამოვნო იქნება და  
ყოველგვარ მის შემაწუხებელ და მინებელ  
კანონზედ ფიცხელს წინააღმდეგობას გამო-  
აჩენს. ინგლისში ამ ნაირი წინააღმდეგობის  
არ ეშინიანთ, რადგანაც დიდი ხანია გაუ-  
გია იქაურ საზოგადოებას ის ქვემარტება,  
რომ მხოლოდ იმ ქვეყანაში შეიძლება კარ-  
გათ ცხოვრება და განათლების წინ წასვლა,  
სადაც სრული თავისუფლებაა. იქ არ უფრ-  
თხილდებიან, რომ ყმაწილი დამოუკლებე-  
ლი და თავისუფალი აზრისა გამოავა, რომ  
მისი მსჯელობა საწინააღმდეგო იქნება სახელ-  
მწიფო წყობილებისათვის, რომ მისი მიზანი  
სრულიად ეწინააღმდეგება საზოგადოების ჩე-  
ულებას და კანონსა. ინგლისელი ამბობს:  
«რაც უფრო თავისუფლად არის გახსნილი  
ადამიანის ბუნება, ისე უფრო ნამდვილს, სა-  
სარგებლო და ახალ აზრს წარმოასტყავსო;  
თუ სახელმწიფო წყობილება კრიტიკას ვერ  
გაუძლებს, მაშინ ის ყალბი ყოფილა და  
დიდი დაუღება არის ამ ნაირი სახელმწიფო  
წყობილების დასაგრევაო; თუ საზოგადოება  
სცდება თავის მიმართულებაში, მისი ჩეუ-  
ლება და კანონი უსაფუძვლო და უღირსია,  
მით უფრო საჭიროა ცხოველი სიტყვის თქმა  
და გამოფხიზლება ამ გვარი საზოგადოებისა.»

მართლა, რა აუხსნიელი ჰქუის სიღარიბე  
და უგუნურობა, რომ საზოგადო ცხოვრე-  
რება შეუხებელი უნდა იქნეს; ის წინა-  
აღმდეგი და დამანაშევა, ვინც ვაჭებდაც და-  
ნახოს საზოგადოებას, რომ მისი ცხოვრება  
დაფუტურთვულ საფუძველზედ სდგას, რომ  
დღეს არის თუ ხვალ მთლად ძირი მოულ-  
პება ამ შენობას და თან ქვეშ მოიტანს ყვე-  
ლას განურჩევლად, თუ რამე ღონის-ძიება  
არ მიიღეთ ახალს ცხოვრებაში გადასა-  
ვლელად. ამნაირი რქვისათვის, როდესაც  
ის ისტორიული მაგალითებით მტკიცდება,  
ჩვენ მადლობის მაგიერად ვდევნით და ესჯით  
სიმართლის მთქმელს. საზოგადოების ცხოვრე-  
ბა რომ შეუხებელი დარჩენილიყო და ყოველ-  
თვის არ გამოჩენოდა ხალხებს თითო-ორიოლა  
ბედნიერი ვარსკვლავნი, რომელნიც ანგრევდ-  
ნენ ძველ წყობილებას და ახალ საუკე-  
თესო გზას უჩვენებდნენ მას, ცხლა ჩე-  
ნი ცივილიზაცია გოტტენტოტების და კაჭრე-  
ბის ცივილიზაციაზედ მაღლა არ იქნებოდა.

როდესაც ვაკირდები ვენევის რესპუბლი-  
კის ცხოვრებას, სულ უფრო და უფრო  
ერწმუნდები, რომ ხალხის სიბატარავე რიც-  
ხით, არ უშლის მას გააწყას თავისი  
ცხოვრება განათლებულად, სამართლიანად  
და მხიარულად.

ვენევის რესპუბლიკაში ასი ათასამ-  
დე მცხოვრებელი ირიცხევა მხოლოდ;  
მაგრამ შეხედეთ აბა, ამ პატარა ქვეყანას  
როგორ მშენებიათ მოურთავს თავისი ბე-  
დი! იმას გარდა, რომ შევიცარიას ყოველ-  
გვარი გონების და ნიჭის გასასწავლი სასწა-  
ლებლები აქვს, აქაურ ხალხს ისე ანგარიშით  
მიჰყავს თავისი საქმე, რომ ძველებს ასა-  
გებათაც კი მორჩენიათ ფული. ვენევაში ორი  
ძრიველ ლამაზი ძველია. ერთი წარმოადგენს  
ორს დას, ერთმანერთზე ხელ-გადახეულს;  
თითოეულს იმათგან ხელში ფარი და მანე-





ლი უკრაინა. ეს არის შვეიცარიის კავშირის და ქვეყნის რესპუბლიკის ემბლემა. უფროს დას, რომელიც შვეიცარიის კავშირს წარმოადგენს, აწერია ფარზე: ყ ვ ე ლ ა თ ი თ ო ე უ ლ ი ს ა თ ე ი ს და თ ი თ ო ე უ ლ ი ყ ვ ე ლ ა ს თ ე ი ს. აწერია, რომელიც უფრო უმაღლესი ქალია, აწერია ფარზე: «სინდელის შემდეგ სინათლე». ეს ძველი სდგას მალაღა აყვანილ ქვანდ. ორი მშენებელი უმაღლესი ქალი გმირულად გამომცქერალი და სიყვარულით საესე ერთი მეორისადმი, ძალიან კარგს შთაბეჭდილებას იქონებს ახლად მოსულ კაცზედ, ნამეტურ, როდესაც წარმოადგენთ შვეიცარიელების შეერთებულ ბრძოლას თავის მტერთან. მეორე ძველი აუგიათ ქან-ქაკ-რუსსასათვის, რომელიც ქვეყელი იყო. რუსსას ქვანდ კრესლო უდგია და ზის ზედ კალმით ხელში, ჩაფიქრებული. ვინც კი იცნობს ამ გენიოსის თხზულებებს, ის რასაკვირველია, უმალღესის პატივისცემით მოიხდის ქულს და დაუწყებს ცქერას ყურადღებით რუსსას ძველსა. მე ცოტა ვიცი კაცობრიობის ისტორიაში ისეთი მხურვალე კაცობრიობის მოყვარული და თავგანწირულად ხალხის თავისუფლებისთვის მებრძოლე, როგორც ქან-ქაკ-რუსსა. მისმა თხზულებებმა ძირში მოაქვეთა მეთვრამეტე საუკუნის უსამართლოება; მან მოაახლოვა რევოლუციის მსგელა და ხალხის განთავისუფლება ზნეობითი და ნივთიერი მონაბობისაგან. როდესაც რომესპირი და სენ-ჟუსტი რევოლუციის წინამძღოლათ შეიქმნენ, იმათ რუსსას თეორია ცხოვრებაში გაჰყავდათ. ოთხმოცდა ცამეტის (93) წლის კონსტიტუცია რუსსას «საზოგადო პირობის» ნიშნულად არის შემდგარი. ისე ძლიერი იყო მეთვრამეტე საუკუნეში ქან-ქაკ-რუსსას და ენციკლოპედისტების გავლენა, რომ რუსეთის იმპერატორსა, ეკატერინე მეორემდის, მიაწია იმათმა ქადაგებამ. ეკატერინე თავის თავს ფრანკუზის ფილოსოფოსების, როგორც ფრიდრიხ მეორეც, შაგირდათ სთვლიდა და ამყობდა მათთან მეგობრობით. თუ რამე ლიბერალური მოხდა წარსულის საუკუნეში რუსეთში, ეკატერინეს დროს, რასაკვირველია, ეს მიეწეება იმ მიზეზს, რომ ფილოსოფოსების გავლენა უკვლად შემძლებელი იყო მაშინ. ბედნიერია ის ხალხი, რომელსაც ისეთი შვილი ჰყოლია, როგორც ქან-ქაკი! ნეტარია იმისთანა შვილის დედა!

იქნება თქვენ მკითხოთ: როგორ შეუძლია პატარა ხალხს ძველები ააგოს მაშინ, როდესაც პეტერბურღში თითოეული ძველი მალიონათ ღირსო? რასაკვირველია, იმისთანა ძვირფასი ძველები არ არიან ესენი, მაგრამ ამითი სრულიად არ კარგვენ თავის აზრს და სიმშენებელს.

ნაციონალურ ძველებს იმის გარდა, რომ ისინი აშენებენ საზოგადოათ იმ ქალაქს, სადაც სდგანან, დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისთვის; ძველი მოაგონებს ხალხს მის წარსულის დიდებას, ძლიერებას, გმირობას, სწავლას და ათას ნაირ კაცის აღმამაღლებელ ღირსებებს! ვინ დასთვლის, რამდენი კაცისთვის ჩაუსახავს გულში კეთილი საქმე, საზოგადოების სამსახური, თავგანწირულობა გამოჩენილი პირების ძველებსა?.. ორსინი ამბობს: «რამდენჯერ მაზანიელოს ძველს შეეხედავდი, ყოველთვის ჩემი გული მაგრათ დაიწყებდა ძვრას; მაშინ მსურდა უძლიერესად ჩემი სამშობლოს განთავისუფლება და ხალხის ბედნიერებისთვის შემეწირა ჩემი თავი მსხვერპლად.» — ორსინი შეასრულა ეს აღთქმა.

იმ ხალხს, რომელსაც წასრულს ცხოვრებაში საამაყო საგანი არა აქვსრა, იმისი მომავალიც ნაკლებათ საიმედოა. ნუ თუ იმისთანა პირები, რომელთაც თავისი სიცოცხლე ხალხისთვის ზრუნვაში დაუღვიათ, რომელთაც გადაურჩენიათ თავისი სამშობლო რომელიმე უბედურებისაგან და გამოუჩენიათ გასაოცარი ნიჭი საზოგადო ცხოვრებაში, არ არიან იმისი ღირსნიც, რომ კაცმა ორიოდ გროში გამოიმეტოს და თავის პატივისცემის ნიშნათ ძველი აუგოს? მაშ, რაღა ერგება მათ ჩვენგან, თუ არც ეს უკანასკნელი მოგონება?

**დ. ზურაბის შვიდი.**

ნოემბრის დამდეგს ციურხის კანტონის სახელმწიფო რჩევაში გაცხარებული ბაასა ყოფილა ნჩაევის საქმის თაობაზე. კარლ ფოხტი და იმასთან 29 დეკუბრტი ამტკიცებდნენ, რომ, რადგანაც რუსეთსა და შვეიცარიას შუა დამნაშავეების თაობაზე არავითარი პირობა არ არის შეკრული, ამის გამო ჩვენს მმართველობას არ უნდა გადაეცა ნაჩაევი რუსეთისთვისო. ციურხის მმართველობა იმით იმართლებს თავს, რომ ჩვენ იმიტომ გადავეცით რუსეთს ნჩაევი, რომ დაერწმუნდით, რომ ის ივანოვის მკვლეელი იყო. ამასთანავე ციურხის მმართველობის წარმომადგენელმა სთქვა, ჩვენ იმ პირობით გადავეცით ნჩაევი, რომ რუსეთის მმართველობა იმას მხოლოდ კაცის კვლისათვის დასჯის და არა პოლიტიკური დანაშაულობისათვისაო.

**საფრანგეთი**

ნოემბრის 1 (13) გაიხსნა ნაციონალური კრების სხდომები, რომელზედაც რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ტიერმა, წაიკითხა თავის ეპისტოლე ნაციონალური კრებისადმი. ამ ეპისტოლეს საფრანგეთში მოუთმენელად მოელოდა. ეპისტოლეში სხვათა შორის მოხსენებულია, რომ საფრანგეთის ეპრობა და საზოგადოდ ფინანსები ძალიან კარგს მდგომარეობაში არისო. ყველაზე უფრო ეხლა საფრანგეთს მშვიდობიანობა სჭირიაო, სთქვა ტიერმა, და ეს მშვიდობიანობა რესპუბლიკებზედადამოკიდებულია. საფრანგეთში უთუოდ კონსერვატორიული რესპუბლიკა უნდა დაფუძნდესო, თორემ სულ ვერ დაფუძნდება რესპუბლიკური მმართველობაო. თუ საფრანგეთმა მშვიდობიანობა კარგათ დაიცვა და თავის საქმეები გამართა, ის ევროპის პატივისცემას დაიმსახურებს და სხვა სახელმწიფოებში მომხრეებსაც იზოგნისო. შემდეგ, ეპისტოლეში ნათქვამია: როდესაც ნაციონალური კრება, ახალი კონსტიტუციის შესადგენად, კომისიას დანიშნავს, მმართველობა, ამ საქმის თაობაზე, მაშინ გამოათქვამს თავის აზრსაო.

გაზეთებში სწერენ, რომ მარცხენა მხრის დეპუტატებს (რესპუბლიკელებს) ეს ტიერის ეპისტოლე მოსწონებიათ; მაგრამ კონსერვატორები კი ძლიერ უკმაყოფილოთ დარჩენილან. იმავე სხდომაში ერთს რესპუბლიკელებს დეპუტატს წინადადება შეუტანია, რომ ეხლავე დაენიშნათ კომისია ახალი კონსტიტუციის კანონების თაობაზედაო. კრება დათანხმებულია ამ წინადადებაზე და დაუნიშნავს კომისიას, რომელმაც ამ თავითვე უნდა შეადგინოს აღრესი ტიერის ეპისტოლეს პასუხად.

ზოგიერთ ფრანკულულ გაზეთებში მოყვანილია სია იმ კანონ დებულებებისა, რომელზედაც ამ ზამთრის ნაციონალური კრების სხდომებში იქნება მოლაპარაკება, აი, სხვათა შორის რა და რა კანონების პროექტებზე იქნება ბაასი: 1) კონსტიტუციის რეფორმებზე, 2) ბიუჯეტზე (ანუ სახელმწიფო შემოსავალ-გასავალზე), 3) იმ ცვლილებებზე, რომელიც საფრანგეთის არმიის მოხდა და შემდეგ უნდა მოხდეს, და 4) ნათქვამი სასამართლოზე. ამას გარდა ამობენ, სხვა ბევრ რამეზე იქნება კიდევ მოლაპარაკება და სხვათა შორის საზოგადოდ განათლებაზედაცაო.

მაგრამ, როგორც ეტყობა, ყველაზე უფრო გაცხადებული ბაასი ტიერის პრეზიდენტობაზე ატყდება. ზოგიერთ კრების წევრებს (მონარხიული პარტიის) სულაც არ უნდათ, რომ ტიერი რესპუბლიკის პრეზიდენტად დარჩეს; ზოგიერთები, როგორც იქნება, შეურიდებიან ამ გარემოებას, მაგრამ დროებით ასე, რომ შემდეგში საფრანგეთის ტახტზე რომელიმე ხელმწიფის დასმის იმედი არ ეკარგებათ. რესპუბლიკელებიც, ამ საგნის თაობაზე, ორ ბანაკად გაიყვნენ: ზომიერი რესპუბლიკელები თანახმა არიან, რომ ტიერი ოთხი ან ხუთი წლის ვადით კიდევ პრეზიდენტად დარჩეს; მაგრამ რადიკალური რესპუბლიკელები, და იმათი, წინამძღოლი გამბეტა, თუმცა თანახმა არიან, რომ ტიერი დროებით პრეზიდენტად დარჩეს, მაგრამ ამტკიცებენ, რომ სამ განკარგულების მოხდენა ახლანდელი ნაციონალური კრების საქმე არ არისო, რადგან იმას ეს მინდობილი არა აქვსო. გამბეტა თავის გაზეთში ამბობს, რომ, თუ ახლანდელს კრებაში ამ საგანზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მაშინ ჩვენ, რადიკალურ რესპუბლიკელები, ამ ბაასში სრულიებით მონაწილეობას არ მივიღებთო.

ერთს გაზეთში გამოანგარიშებულია ახლანდელი კრების სხვა და სხვა პარტიების წევრების რიცხვი, რომლიდანაც ადვილათ დაინახება ამ პარტიების ძალა. კრებაში არიან ამჟამად: რადიკალური რესპუბლიკელები — 70 წევრი; ზომიერი რესპუბლიკელები — 160, მარცხენა ცენტრი (ტიერის მომხრე რესპუბლიკელები) — 140; მარჯვენა ცენტრი (ორლესისტიები) — 100, ლეგიტიმისტიები და საზოგადოდ მარჯვენა მხრის კონსერვატორები — 180 წევრი. ამას გარდა კრებაში არის კიდევ 100 წევრი, რომელიც აგრეთვე კონსერვატორულ პარტიას ეკუთვნის. აქედამ ყველასთვის ცხადია, რომ, თუ სხვა და სხვა პარტიების რესპუბლიკელები არ შეერთდნენ და ერთად არ იმოქმედეს პალატაში, კონსერვატორები თითქმის ყოველთვის გაიმარჯვებენ, რადგან ხმის უმეტესობა იმათკენ იქნება.

ამბობენ, რომ ვითომც ტიერს ერთი დეპუტატისთვის შეუდგია სიტყვა ეთქვას: «ამ ჟამად საფრანგეთს ყველაზე უფრო სამი მტრისა უნდა ემხროდეს: ბონაპარტიკელების, რადიკალური პარტიისა და ჩემი საკვდილისა. მაგრამ საფრანგეთის ბედნიერება ის არის, რომ ბონაპარტიკელების დამშვიდება ადვილათ შეიძლება და რადიკალები არც ისე საშიშო არიან, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. რაც ჩემს სიკვდილს შეეხება, — ამას ვერაფერი ღვაწაყავს არა დიხსა.»

**ინგლისი**

თუმცა ზოგიერთი ინგლისელების თავმოყვარეობას ვერ აუტანია ის გარემოება, რომ იმათმა დიდებულმა ბრიტანამ ხუთ-

მეტი მილიონი დოლარი უნდა გადაეხდოს ამერიკას, ალაბამის საქმის თაობაზე, მაგრამ მომეტებული ნაწილი ინგლისის საზოგადოებისა კი მინც ძლიერ კმაყოფილია, რომ ეს საქმე ასე მშვიდობიანათა და სისხლი დაუღვრელათ გათავდა. ინგლისის უბრალო შუშა ხალხი განსაკუთრებით, რომელსაც ომიანობის დროს ყოველთვის ყველაზე უფრო მომეტებული წვალება და ხარჯი აწვევდის კმაყოფილებას აცხადებს, ასე კარგად საქმის გადაწყვეტისათვის.

ოქტომბრის 29-ს ლონდონში ახალ ლორდ მერს (ქალაქის თავს) ბანკეტი (სადილი) ჰქონდა და ამ დროს ინგლისის გარეშე საქმეების მინისტრმა, ლორდ გრენვილმა, სხვათა შორის ქვეყნის მედიატორების გადაწყვეტილებაზე სთქვა, რომ ამ გვარად საქმის გადაწყვეტა და ჩვენის მხრით ფულების გადახდა სრულიად არ დაამცირებს ინგლისის ღირსებასაო; ის დაამცირებს მხოლოდ ჩვენს ჯიბესაო.

ნოემბრის 5-ს ალაბამის საქმის მშვიდობიანათ გათავება იდღესასწაულა ერთმა ლონდონის საზოგადოებამ, რომელსაც სახელია: «მშვიდობიანობის აზრების გამაფრცხვლებელი აზოგადოება» ჰქვია. რამდენიმე ათასი კაცი და მათ შორის მომეტებული ნაწილი შუშები შეიკრიბნენ ერთს ბაღში და ორატორებმა მშვიდობიანობის სადიდებელი და ომიანობის წინააღმდეგი სიტყვები წარმოასთქვეს.

**ამერიკა**

მკითხველმა იცის, რომ ამერიკის რესპუბლიკის პრეზიდენტათ ისევ ძველი პრეზიდენტი, ლენერალი გრანტი, ამოირჩიეს. მეორე კანდიდატი, გრილი, კი თავის ძველ ხელობას ჰკიდებს ხელს: ის აცხადებს, რომ რალანც პრეზიდენტათ არ ამოირჩიეს, ისევ ჩემი გაზეთის გამოცემას შეუდგებიო და შემდეგში არცერთს საზოგადოდ თანამდებობას არ ეთქვამისო.

**განცხადება**

ის ყიდება საციციანო მამულის ორმოცდა მერვე ნაწილის ნახევარი, რომელიც ეკუთვნის ალექსანდრე კონსტანტინესძეს ციციშვილსა. მამულში არის სამოვარი და სახანავ-სათესი ადგილი, ტყე, შეუშუშავებული მადანი, მადნის წყალი და სხვა. მსუველთა შეუძლიათ დაწერილებითი გარემოება მოიკითხონ უფალ უმიკაშვილთან, ანჩისხატის პირდაპირ, ხერხეულიძის სახლებში..

ლოჭინში თ. დავით ციციშვილი, მეცნიერი მებაღე. ამით გამოუცხადებს საქართველოს მემამულეებს, რომ იმას აქვს ყოველნაირი საუკეთესო უცხო ქვეყნის ხეხილების და ხეების ნერგები აგრეთვე ბოსტნეულის და ყვავილების თესლებ და ჰყიდის ზომიერ ფასათ.

**ხეხილის და ხეების ნერგები**

ერთი წლისა — — — — 33 კაპ.  
ორი წლისა — — — — 40 კაპ.  
სამი წლისა — — — — 60 კაპ.  
ვისაც ჰსურს დაიბაროს ეს ნერგები და თესლები იმათ ესთხოვეთ მიმართონ ტფილისს «სასაფლო გავნეთის და «დროების» რედაქციაში წერეთლის (უწ. დუბილირის) სტამბაში ხანის ქუჩაზე ბეგუთოვის სახლში, ან კუკიაში ელიზავეტას ქუჩაზე თავად გიორგი ციციშვილის საკუთარს სახლში.